



არაოფიციალური თარგმანი

სტრასბურგი, 2002 წლის 19 ნოემბერი

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE)

დასკვნა №3 (2002)

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის საყურადღებოდ

მოსამართლეთა პროფესიული ქცევის
მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების,
კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან
შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის
შესახებ

1. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ (CCJE) შეიმუშავა წინამდებარე დასკვნა სახელმწიფოების მიერ კითხვარზე გაცემული პასუხების საფუძველზე, რომლის ტექსტი მომზადებულ იქნა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფისა და აღნიშნულ საკითხში ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სპეციალისტის, ბატონი დენის სალასის (საფრანგეთი) მიერ.

2. წინამდებარე დასკვნა უკავშირდება ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნას №1 (2001) (www.coe.int/legalprof, CCJE (2001) 43) სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის სტანდარტებისა და მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტის დაუშვებლობის შესახებ, კერძოდ, 13, 59, 60 და 71 პუნქტებს.

3. წინამდებარე დასკვნის შემუშავების პროცესში, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ გაითვალისწინა რიგი სხვა დოკუმენტებისა, კერძოდ:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის შესახებ (1985);
- ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (94) 12 მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და როლის შესახებ;
- ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ (1998) (DAJ/DOC(98)23);
- სამოსამართლო ქცევის კოდექსი, ბანგალორის პროექტი¹.

4. წინამდებარე დასკვნა ეხება ორ ძირითად სფეროს:

- მოსამართლეთა პროფესიული ქცევის პრინციპებსა და წესებს, რომლებიც უნდა ემყარებოდეს მაღალი სტანდარტების ეთიკის პრინციპების განსაზღვრებას და რომლებიც შეიძლება შეტანილ იქნეს თვით მოსამართლეების მიერ შემუშავებულ პროფესიული ქცევის სტანდარტების ნუსხაში (ა);

- მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო და დისციპლინური პასუხისმგებლობის პრინციპებსა და პროცედურებს (ბ); 5. ამ თვალსაზრისით, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ დააყენა საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება არსებული წესები და პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კრიტერიუმებს, რომლებიც დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით

¹ კოდექსის გადახედვა 2002 წლის ნოემბერში მოხდა და მას სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები დაერქვა. ამ მომენტამდე, პრინციპების ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოში წარდგენა არ მომხდარა. პრინციპების განმარტებით ბარათში აღნიშნულია ის წვლილი, რომელიც 2002 წლის ივნისში ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფმა შეიტანა.

6. აქედან გამომდინარე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო შეეცადა პასუხი გაეცა შემდეგი შეკითხვებისათვის:

- რა სახის ქცევის სტანდარტები უნდა გავრცელდეს მოსამართლეებზე?
- რა სახის ქცევის სტანდარტები უნდა შეიქმნას?
- უნდა იქნეს თუ არა გამოყენებული სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო ან დისციპლინური პასუხისმგებლობა მოსამართლეების მიმართ; თუ კი, რა სახის?

7. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ შეკითხვებზე პასუხებმა ხელი უნდა შეუწყონ ევროპის მოსამართლეთა მიმართ ერთიანი სამოქმედო გეგმის და უპირველეს ყოვლისა, მოსამართლეების უფლება-მოვალეობებთან, პროფესიულ ქცევასა და ეთიკასთან დაკავშირებული პრიორიტეტების განხორციელებას (იხ. დოკუმენტი: ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (2001) 24, დანართი “ა”, ნაწილი III “ბ”). ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო აღნიშნულ საკითხებს ქვემოთ 49, 50, 75, 76 და 77 პუნქტებში განიხილავს.

ა. სამოსამართლო ძველის სტანდარტები

8. სამოსამართლო ქცევის ეთიკური ასპექტების განხილვა აუცილებელია რიგი მიზეზების გამო. სამოსამართლო დავეების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს.

9. ნდობის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს სამოსამართლო დავეების გლობალიზაციის ზრდის და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელების თვალსაზრისით. გარდა ამისა, სამართლებრივ სახელმწიფოში, საზოგადოება უფლებამოსილია მოელოდოს ზოგადი პრინციპების დანერგვას, რომლებიც შეესაბამება სამართლიანი სასამართლო პროცესის შესახებ წარმოდგენას და გარანტირებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. მოსამართლეებზე დაკისრებული ვალდებულებები იმისათვის არის დადგენილი, რომ მათი ქმედებების მიუკერძოებლობა და ეფექტიანობა იქნეს გარანტირებული.

10) რა სახის ქცევის სტანდარტები უნდა გავრცელდეს მოსამართლეებზე?

10. პროფესიული მოთხოვნების მარეგულირებელი წესების ნებისმიერი ანალიზი, რომლებიც გამოიყენება მოსამართლეების მიმართ, უნდა ითვალისწინებდეს ძირითად პრინციპებსა და დასახულ მიზნებს.

11. მიუხედავად იმისა, თუ რა მეთოდები გამოიყენება მოსამართლეების დანიშვნისა და მომზადებისას, და თუ რამდენად ფართოა მათი მანდატი, ისინი უფლებამოსილნი არიან იმუშაონ და მუშაობენ კიდევ ისეთ სფეროებში,

რომლებსაც უშუალო გავლენა აქვთ ადამიანების ცხოვრებაზე. აღნიშნულ საკითხზე ბოლო კვლევამ აჩვენა, რომ ევროპის ქვეყნებში, ხელისუფლების ყველა შტოებიდან, სწორედ სასამართლო ხელისუფლებამ განიცადა ყველაზე მეტი ცვლილება.² უკანასკნელი წლების განმავლობაში, დემოკრატიული საზოგადოებები უფრო მეტ მოთხოვნებს აყენებენ საკუთარი სასამართლო სისტემების მიმართ. ჩვენი საზოგადოების მზარდმა პლურალიზმმა გამოიწვია ის, რომ თითოეული საზოგადოებრივი ჯგუფი სამართლებრივი აღიარებისა და დაცვისაკენ მიისწრაფვის, რასაც ისინი ყოველთვის ვერ აღწევენ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნების დემოკრატიული სტრუქტურები მნიშვნელოვნად შეიცვალა, ქვეყნებს შორის არსებითი განსხვავებები მაინც შესამჩნევია. ყველასთვის ცნობილია, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც ავტორიტარული რეჟიმებიდან წარმოიქმნა, სამართალსა და მართლმსაჯულებას განიხილავენ როგორც საშუალებას, რომელიც დემოკრატიის მშენებლობისათვის აუცილებელ ლეგიტიმურობას უზრუნველყოფს. ამ ქვეყნებში, უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, სასამართლო სისტემა თავს იმკვიდრებს ხელისუფლების სხვა შტოებთან ურთიერთობებში მისი სამოსამართლო ზედამხედველობის ფუნქციის წყალობით.

² *Les mutations de la justice. Comparaisons européennes (მართლმსაჯულების ევოლუცია. ევროპის ქვეყნების შედარებითი ანალიზი)*, Ph. Robert and A. Cottino (ed.), Harmattan, 2001.

12. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, განისაზღვრება არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით და ქვეყნის ერის სურვილით, არამედ საერთაშორისო სამართლისა და მართლმსაჯულების პრინციპებით, როგორც ეს აღიარებულია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებებში.

13. მიზანი, რომლის მისაღწევადაც ეს უფლებამოსილებები მოსამართლეებს ენიჭებათ შემდეგია – მიეცეთ მათ შესაძლებლობა განახორციელონ მართლმსაჯულება კანონის გამოყენების გზით და უზრუნველყონ, რომ თითოეულმა ადამიანმა ისარგებლოს მისი კუთვნილი უფლებებით და/ანაქტივებით, რომლებიც მას უსამართლოდ ჩამოერთვა ან შეიძლება ჩამოერთვას.

14. ეს მიზანი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლშია ჩამოყალიბებული და თუ მხოლოდ იმ პირის პოზიციიდან გამოვალთ, რომელმაც სასამართლო სისტემას მიმართა, ადგენს, რომ “თითოეულ ადამიანს აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია განხილვაზე გონივრულ ვადაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, რომელიც შექმნილია კანონის საფუძველზე”. კონვენციაში მოსამართლეები არ არიან ყოვლისშემძლედ მიჩნეულნი, ის უფრო მეტ მნიშვნელობას პროცესის მონაწილეთა უფლებების გარანტიებს ანიჭებს და ადგენს პრინციპებს, რომლებიც წარმოადგენს მოსამართლეთა მოვალეობების საფუძველს: დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.

15. ბოლო წლების განმავლობაში, გარკვეულწილად აღიარებულ იქნა აუცილებლობა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიების გაძლიერებისა; შეიქმნა დამოუკიდებელი

ორგანოები სასამართლო სისტემაში პოლიტიკური ძალების ჩარევისაგან დასაცავად; გაიზარდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მნიშვნელობა და შესამჩნევი გახდა სტრასბურგის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და ეროვნული სასამართლოების პრეცედენტული სამართლის განვითარების თვალსაზრისით.

16. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა – უმნიშვნელოვანესი პრინციპია და თითოეული სახელმწიფოს მოქალაქეების უფლებას წარმოადგენს, მათ შორის მოსამართლეებისაც. მას როგორც ინსტიტუციონალური, ისე ინდივიდუალური ასპექტები გააჩნია. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ემყარებოდეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. თითოეულმა მოსამართლემ უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შენარჩუნებას როგორც ინსტიტუციონალურ, ისე ინდივიდუალურ დონეზე. ასეთი დამოუკიდებლობის დასაბუთება დეტალურად არის განხილული ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნაში № 1 (2001), 10-13 პუნქტებში. აქ ნათქვამია, რომ ის შევსებულ უნდა იქნეს მოსამართლეების მიუკერძოებლობით და ამავე დროს, წარმოადგენს მის წინაპირობას, რაც აუცილებელია სასამართლო სისტემის სანდოობის უზრუნველყოფისათვის და იმ ნდობისათვის, რომლითაც ის უნდა სარგებლობდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

17. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის “სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები” მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: “სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე”. მუხლი 8-ის თანახმად, მოსამართლეები “ყოველთვის უნდა იქცეოდნენ იმგვარად, რომ შეინარჩუნონ დაკავებული თანამდებობის ღირსება და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა”.

18. მინისტრთა კომიტეტი თავის რეკომენდაციაში № R (94) 12 მოსამართლეთა ეფექტიანობის და როლის შესახებ (პრინციპი 1.2. დ) აღნიშნავს, რომ “მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ მინიჭებული შეუზღუდავი დამოუკიდებლობა იმისათვის, რომ მათ მიუკერძოებელი გადაწყვეტილებები მიიღონ საკუთარი რწმენის და ფაქტების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით”.

19. მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტია მიუთითებს, რომ მოსამართლეთა სტატუსის მიზანი მიუკერძოებლობის უზრუნველყოფაა, რასაც საზოგადოების თითოეული წევრი სამართლიანად მოითხოვს სასამართლოებისაგან (პუნქტი 1.1). ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო სრულიად ეთანხმება ქარტიის ამ დებულებას.

20. მიუკერძოებლობა ევროპის სასამართლოს მიერ განმარტებულია როგორც *სუბიექტური* მიდგომის გათვალისწინებით, რომელშიც მხედველობაში მიიღება ცალკეული მოსამართლის პირადი შეხედულებები და ინტერესები კონკრეტულ

საქმესთან დაკავშირებით, ისე *ობიექტური* კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მოსამართლემ წარმოადგინა გარანტიები საკმარისი იმისათვის, რომ გამორიცხულიყო რაიმე სახის კანონიერი ეჭვი მის მიუკერძოებლობაში³.

³ იხ. მაგალითად, პიერსაკის საქმე, 1982 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია ა53, პუნქტი 30, დეკუბერას საქმე, 1984 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია ა86, პუნქტი 24, დემიკოლის საქმე, 1991 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, სერია ა210, პუნქტი 40, სანტა-მარიას საქმე, 1992 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, სერია ა253-ა, პუნქტი 34.

21. მოსამართლეებმა ნებისმიერ გარემოებაში უნდა იმოქმედონ მიუკერძოებლად და უზრუნველყონ, რომ მოქალაქეებს არ ჰქონდეთ კანონიერი საფუძველი დაეჭვდნენ მათ რაიმე სახის მიკერძოებაში. ამ თვალსაზრისით, მიუკერძოებლობა უდავო უნდა იყოს, როგორც მოსამართლეების მიერ სამოსამართლო ფუნქციების, ისე სხვა სახის საქმიანობის განხორციელებისას.

ა. მიუკერძოებლობა და მოსამართლეთა ქცევა სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებისას

22. საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს: ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი.

23. აქედან გამომდინარე, მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე, გადაწყვეტილების მიღებისას, მათ არ უნდა გაითვალისწინონ რაიმე, რაც სამართლის ნორმების გამოყენების ფარგლებს სცდება. საქმის განხილვისას ან თუ მათ საქმის განხილვა დაევაღათ, მათ შეგნებულად არ უნდა მისცენ თავს უფლება გააკეთონ რაიმე კომენტარი, რომელიც საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მიკერძოების რაიმე ვარაუდსაც კი გამოიწვევს ან შეიძლება გავლენა იქონიოს საქმის სამართლიან განხილვაზე. მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი (მაგ., საქმის მხარეები, მოწმეები, ადვოკატი) რაიმე სახის განსხვავების გარეშე, რომელიც კანონს არ ეფუძნება ან შეუთავსებელია სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად შესრულებასთან. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ ისე, რომ მათი პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო იყოს.

24. ასევე, მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია, და შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორისდა უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თითოეული მხარისათვის.

25. სასამართლო სისტემის ეფექტიანობა ასევე მოითხოვს მოსამართლეებისაგან პროფესიული ცოდნის მაღალ დონეს. მოსამართლეებმა უნდა შეინარჩუნონ თავიანთი პროფესიონალიზმის მაღალი დონე მომზადებისა და გადამზადების საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს მათთვის სათანადო კვალიფიკაციას.

26. მოსამართლეებმა უნდა განახორციელონ თავიანთი ფუნქციები გულდასმით და გონივრულ ვადებში. ამისათვის, ისინი უზრუნველყოფილ უნდა იქნენ შენობით, აღჭურვილობითა და სათანადო დახმარებით. ასეთი პირობებით სარგებლობისას, მოსამართლეებმა უნდა გაიაზრონ და შეძლონ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები ადამიანის უფლებების ევროპის კონვენციის მუხლის 6.1 შესაბამისად გონივრულ ვადაში გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ბ. მიუკერძოებლობა და მოსამართლეთა არასამოსამართლო ქცევა

27. მოსამართლეები არ უნდა იყვნენ იზოლირებულნი საზოგადოებისაგან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, რადგან სასამართლო სისტემა სათანადო დონეზე მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს, თუ მოსამართლეებს რეალურ ცხოვრებასთან კავშირი აქვთ. უფრო მეტიც, მოსამართლეები, როგორც მოქალაქეები, სარგებლობენ ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით, რომლებიც, პირველ რიგში, დაცულია ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციით (გამოხატვის თავისუფლება, რელიგიური თავისუფლება და სხვა). აქედან გამომდინარე, მოსამართლეებს ზოგადად უნდა ჰქონდეთ თავისუფლება განახორციელონ არასამოსამართლო საქმიანობა თავიანთი არჩევანისამებრ.

28. თუმცა, ასეთმა საქმიანობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათ მიუკერძოებლობას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, მათ დამოუკიდებლობასაც კი. ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია შენარჩუნებულ იქნეს წონასწორობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის დასაშვებ დონესა და თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისას დამოუკიდებლობისა, და მიუკერძოებლობის შენარჩუნებას შორის საზოგადოების თვალშიც. ბოლო კვლევაში, აუცილებელია ყოველთვის დაისვას შეკითხვა, ჩართულია თუ არა მოსამართლე საქმიანობაში, რომელმაც შესაძლოა ობიექტურად მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კომპრომეტირება გამოიწვიოს მოცემულ საზოგადოებრივ კონტექსტში და გონიერი, და ინფორმირებული დამკვირვებლის თვალში.

29. მოსამართლეები თავიანთ პირად ცხოვრებაში ღირსეულად უნდა იქცეოდნენ. ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებში კულტურული მრავალფეროვნების და მორალური ღირებულებების მუდმივი ევოლუციის გათვალისწინებით, სამოსამართლო ქცევის სტანდარტები მოსამართლეების პირად ცხოვრებაში არ შეიძლება იქნეს ჩამოყალიბებული ზედმეტად კონკრეტულად. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მხარს უჭერს სასამართლო სისტემის ფარგლებში ერთი ან რამდენიმე ორგანოს შექმნას, ან პირების დანიშვნას, რომლებსაც საკონსულტაციო ფუნქცია ექნებათ და მრჩეველების როლს შეასრულებენ და რომელთაც მოსამართლეებს შეეძლებათ მიმართონ, თუ ისინი არ იქნებიან

დარწმუნებულნი, შეეფერება თუ არა კონკრეტული საქმიანობა კერძო სექტორში მათ მოსამართლის სტატუსს. ასეთი ორგანოების ან პირების არსებობა ხელს უნდა უწყობდეს ეთიკური ნორმების მნიშვნელობისა და დანიშნულების განხილვას სასამართლო სისტემის ფერგლებში. თუ მხოლოდ ორ შესაძლებლობას განვიხილავთ, ასეთი ორგანოები ან პირები შეიძლება შეიქმნას ან დაინიშნოს უზენაესი სასამართლოს, ან მოსამართლეთა ასოციაციის ეგიდით. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ორგანოები ან პირები განცალკევებულნი უნდა იყვნენ იმ არსებული ორგანოებისაგან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან დისციპლინური სანქციების დაკისრებაზე და სხვა მიზნებს უნდა ემსახურებოდნენ.

30. გარკვეული სერიოზული პრობლემები უკავშირდება მოსამართლეთა პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობას. რა თქმა უნდა მოსამართლეები მოქალაქეებად რჩებიან და მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მოახდინონ თავიანთი პოლიტიკური უფლებების რეალიზება, რომლებიც ყველა მოქალაქეს გააჩნია. თუმცა, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებისა და საზოგადოების კანონიერი მოლოდინის გათვალისწინებით, მოსამართლეებმა უნდა გამოიჩინონ თავშეკავება საჯარო პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებისას; ზოგიერთმა ქვეყანამ ეს პრინციპი დისციპლინურ წესებში შეიტანა და ნებისმიერი საქციელისათვის, რომელიც მოსამართლის თავშეკავების ვალდებულებას არ შეესაბამება, დისციპლინურ სანქციებს აწესებს. ამ ქვეყნებმა ასევე დაადგინეს, რომ სამოსამართლო მოვალეობები შეუთავსებელია პოლიტიკური საქმიანობის გარკვეულ სახეობებთან (ეროვნულ პარლამენტში, ევროპარლამენტში ან ადგილობრივ საბჭოებში) და ზოგიერთ შემთხვევაში, აკრძალეს ასეთი თანამდებობების დაკავება მოსამართლეების მეუღლეების მიერაც კი.

31. უფრო მეტიც, აუცილებელია მოსამართლეების პოლიტიკური ხასიათის დებატებში მონაწილეობის მიზანშეწონილობის განხილვაც. იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს საზოგადოებრივი ნდობა სასამართლო სისტემისადმი, მოსამართლეები არ უნდა გახდნენ პოლიტიკური შეტევის ობიექტი, რაც შეუთავსებელია სასამართლო ორგანოების მიერ მოთხოვნილ ნეიტრალიტეტთან.

32. კითხვარზე გაცემული პასუხებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთი ქვეყანა ემხრობა მოსამართლეების პოლიტიკაში მონაწილეობის შეზღუდვის პოზიციას.

33. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დისკუსიებში გამოჩნდა მოსამართლეებისათვის თავიანთი აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ნეიტრალიტეტის მოთხოვნებთან შეთავსების აუცილებლობა. ამიტომ, მოსამართლეებმა სულ მცირე თავი უნდა შეიკავონ ისეთი პოლიტიკური საქმიანობისაგან, რომელმაც შეიძლება შეარყიოს მათი დამოუკიდებლობა ან ეჭვქვეშ დააყენოს მათი მიუკერძოებლობა მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეების პოლიტიკურ პარტიაში წევრობა ან სერიოზული საზოგადოებრივი საკითხების პოლიტიკურ განხილვებში მონაწილეობა არ შეიძლება ცნობილ იქნეს უკანონოდ.

34. თუმცა, მოსამართლეებს უნდა მიეცეთ უფლება მონაწილეობა მიიღონ გარკვეულ განხილვებში, რომლებიც ეროვნულ სასამართლო პოლიტიკას ეხება. შესაძლებელი უნდა იყოს მათგან კონსულტაციების მიღება და ისინი აქტიურ როლს უნდა ასრულებდნენ იმ კანონმდებლობის მომზადებაში, რომელიც შეეხება მოსამართლეთა სტატუსს და სასამართლო სისტემის ფუნქციონირების ზოგად საკითხებს. ამასთან დაკავშირებით, წამოიჭრა შეკითხვა, შეიძლება თუ არა მოსამართლეებს მიეცეთ უფლება გაწევრიანდნენ პროფესიულ კავშირებში. სიტყვისა და აზრის თავისუფლების პრინციპის შესაბამისად, მოსამართლეები უფლებამოსილნი არიან გაწევრიანდნენ პროფესიულ კავშირებში (გაერთიანების თავისუფლება), თუმცა შეიძლება დადგენილ იქნეს გამონაკლისები მათ მიერ გაფიცვის ჩატარებასთან დაკავშირებით.

35. სხვადასხვა სფეროში მუშაობა მოსამართლეებს საშუალებას აძლევს, გააფართოონ თავიანთი მსოფლმხედველობა და გაეცნონ საზოგადოების პრობლემებს, რაც, ერთი მხრივ, მათ მიერ პროფესიული მუშაობის დროს მიღებულ ცოდნას ავსებს. მეორე მხრივ, ამან შეიძლება გამოიწვიოს გაუმართლებელი რისკი: ასეთი სამუშაო შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საწინააღმდეგო ქმედება და შეიძლება შეასუსტოს საზოგადოების რწმენა მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში.

36. მოსამართლეების მონაწილეობის საკითხი მთავრობის გარკვეულ საქმიანობაში, როგორიცაა მინისტრთან პირად კაბინეტში მუშაობა, სერიოზულ პრობლემებს იწვევს. არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ მოსამართლეებს ხელი შეეშალოს განახორციელონ გარკვეული ფუნქციები რომელიმე სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში (მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის და სამოქალაქო კანონმდებლობის განყოფილებაში) თუმცა, საკითხი უფრო რთულდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე მინისტრის პირადი კაბინეტის თანამშრომელი ხდება. მინისტრები უფლებამოსილნი არიან დანიშნონ ნებისმიერი პირი საკუთარ პირად კაბინეტში სამუშაოდ, თუმცა რადგან ასეთი პირები მინისტრის უახლოესი თანამშრომლები არიან, ისინი გარკვეულწილად ჩართულნი არიან მის პოლიტიკურ საქმიანობაში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ვიდრე მოსამართლე მინისტრის პირად კაბინეტში დაიწყებს მუშაობას, დამოუკიდებელმა ორგანომ, რომელიც მოსამართლეების დანიშვნაზე აგებს პასუხს, უნდა გამოსცეს თავისი დასკვნა. ამავე, აღნიშნულმა ორგანომ უნდა შეიმუშაოს ქცევის წესები, რომლებიც თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე გავრცელდება.

გ. მიუკერძოებლობა და მოსამართლეთა პროფესიული საქმიანობის სხვა სახეობები⁴

⁴ მოსამართლეების სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობის უფრო დეტალური შესწავლისათვის იხ. ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ მოსამართლეთა სტატუსის საკითხებისადმი მიძღვნილ სემინარზე წარდგენილი ჟან-პიერ ატენონის ანგარიში, (ბუქარესტი, 1997 წლის 19-21 მარტი) და ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ ანალოგიურ სემინარზე

წარდგენილი პიერ კორნიუს ანგარიში (კომინიოვი, 1997 წლის 18-19 სექტემბერი).

37. სამოსამართლო ფუნქციების განსაკუთრებული ხასიათი და სასამართლოს ინსტიტუტის ღირსების შენარჩუნების, და მოსამართლეების ყველა სახის ზეწოლისაგან დაცვის აუცილებლობა გულისხმობს, რომ მოსამართლეები ისე უნდა იქცეოდნენ, რომ თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი ან თავიანთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. ეს მოსამართლეებისაგან მოითხოვს ნებისმიერი პროფესიული საქმიანობისგან თავი შეიკავონ, რომელმაც შეიძლება ისინი მოაძვინოს სამოსამართლო მოვალეობების შესრულებას ან გამოიწვიოს მიკერძოება ამ მოვალეობების შესრულებისას. ზოგიერთ ქვეყანაში, სამოსამართლო ფუნქციებთან შეუთავსებელ სფეროებს ცალსახად განსაზღვრავს მოსამართლეთა სტატუსი და მოსამართლეებს ეკრძალებათ რაიმე სხვა სახის პროფესიული ან ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელება, გარდა საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ლიტერატურული ან მხატვრული საქმიანობისა.

38. სხვადასხვა ქვეყანა მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობას განიხილავს სხვადასხვა მიდგომით (თანდართულია მოკლე მიმოხილვა) და სხვადასხვა პროცედურის გამოყენებით, თუმცა თითოეულ შემთხვევაში საერთო მიზანია მოსამართლეებსა და საზოგადოებას შორის რაიმე ტიპის განუსაზღვრელი ბარიერების წარმოქმნის თავიდან აცილება.

39. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიანია, რომ პროფესიული ქცევის წესები მოსამართლეებისაგან უნდა მოითხოვდნენ თავი შეიკავონ ნებისმიერი საქმიანობისაგან, რომელიც შეიძლება მაკომპრომეტირებელი იყოს მათი თანამდებობის ღირსებისათვის და ეს წესები უნდა ინარჩუნებდნენ საზოგადოებრივ ნდობას ინტერესთა კონფლიქტის მინიმუმამდე დაყვანის გზით. ამ მიზნით, მოსამართლეებმა უარი უნდა თქვან დამატებით პროფესიულ საქმიანობაზე, რომელმაც შეიძლება შეზღუდოს მათი დამოუკიდებლობა და საფრთხე შეუქმნას მათ მიუკერძოებლობას. ამ კონტექსტში, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მხარს უჭერს მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპის ქარტიის დებულებას, რომლის თანახმად, მოსამართლეთა თავისუფლება განახორციელონ ნებისმიერი საქმიანობა მათი სამოსამართლო უფლებამოსილების გარეთ “არ შეიძლება იქნეს შეზღუდული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საქმიანობა შეუთავსებელია მოსამართლეების და მათი მიუკერძოებლობის მიმართ ნდობასთან, და მის წინაშე განსახილველად წარდგენილი საკითხების გონივრულ ვადაში გადაწყვეტის მოთხოვნასთან (პუნქტი 4.2)”. ამასთან, ევროპის ქარტია აღიარებს მოსამართლეების უფლებას გაწევრიანდნენ პროფესიულ ორგანიზაციებში და მათი გამოსატვის უფლებას (პუნქტი 1.7) “ზედმეტი სიმკაცრის” თავიდან ასაცილებლად, რომელმაც შეიძლება შექმნას ბარიერი საზოგადოებასა და მოსამართლეებს შორის (პუნქტი 4.3). თუმცა, აუცილებელია, რომ მოსამართლეებმა მათი დროის ძირითადი ნაწილი სწორედ სამოსამართლო სამუშაოს დაუთმონ, მათ შორის პროფესიულ ასოციაციებში და არ დაუთმონ ზედმეტად დიდი დრო არასამოსამართლო საქმიანობას. ამ ტიპის საქმიანობისადმი ზედმეტი ყურადღების რისკი წარმოიქმნება რა თქმა უნდა მაშინ, როდესაც ის ანაზღაურებადია. თითოეულმა სახელმწიფომ თვითონ უნდა განსაზღვროს თუ რა სახის

საქმიანობა და საშუალებები და რა სახის – არა, რა შემთხვევაში უნდა ჩაერთოს ამ საკითხში ორგანო ან პირი, რომელზეც საუბარია 29-ე პუნქტში.

დ. მიუკერძოებლობა და მოსამართლეთა ურთიერთობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან

40. შეინიშნება სასამართლო საქმეებისადმი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინტერესის ზრდის საერთო ტენდენცია, განსაკუთრებით სისხლის სამართლის სფეროში, კერძოდ კი, დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის შეიძლება დამყარდეს გარკვეული კავშირები, არსებობს საშიშროება, რომ ჟურნალისტებმა გავლენა იქონიონ მოსამართლეების ქცევაზე. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო დასკვნაში №1 (2001) მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრესის თავისუფლება უმნიშვნელოვანესი პრინციპია, სასამართლო პროცესი დაცული უნდა იყოს არასათანადო გარე გავლენისაგან. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლეებმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ პრესასთან ურთიერთობებში და შეინარჩუნონ დამოუკიდებლობა, და მიუკერძოებლობა. მათ თავი უნდა შეიკავონ ჟურნალისტებთან ურთიერთობების საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებისაგან და არ მისცენ დაუსაბუთებელი კომენტარი მათ მიერ განხილული საქმეების შესახებ. მიუხედავად ამისა, უფლება ინფორმაციაზე არსებით პრინციპად რჩება, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლიდან. ამ პრინციპის თანახმად, მოსამართლე მოქალაქეების კანონიერ მოლოდინს პასუხობს მკაცრად მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილებებით. მოსამართლეები თავისუფალნი უნდა იყვნენ რეზიუმეს ან კომუნიკეს მომზადებაში, რომლებსაც განსაკუთრებული შინაარსი აქვთ ან განმარტავენ სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობას მოსახლეობისათვის. გარდა ამისა, იმ ქვეყნებისათვის, სადაც მოსამართლეები სისხლისსამართლებრივ გამოძიებას ახორციელებენ, რეკომენდებულია თავშეკავებულობის დაცვა, რომელიც მოსამართლემ მის მიერ განხილულ საქმეებზე უნდა გამოიჩინოს, ინფორმაციაზე უფლებასთან ერთად. მხოლოდ ამ პირობების დაცვის შემთხვევაში, მოსამართლეებს შეუძლიათ თავისუფლად განახორციელონ თავიანთი როლი და არ ეშინოდეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზეწოლის ქვეშ აღმოჩენისა. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო გამოყოფს გარკვეული ქვეყნების მოსამართლეების დანიშვნის პრაქტიკას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საზოგადოებასთან ურთიერთობებზე ან სპიკერ-წარმომადგენლის დანიშვნის პრაქტიკას, რომელიც პასუხისმგებელი არის პრესასთან ურთიერთობაზე საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე.

20) როგორ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული სამოსამართლო ქცევის სტანდარტები?

41. კონტინენტური სასამართლო სისტემის ტრადიციაში მყარად დამკვიდრდა კოდიფიცირების იდეა. ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე მიიღო სახელმწიფო სექტორის მუშაკთა (პოლიცია), სახელმწიფოს მიერ რეგულირებული პროფესიული საქმიანობით დაკავებულ პირთა (იურისკონსულტები, ექიმები) და კერძო სექტორის მუშაკთა (პრესა) ქცევის კოდექსები. ეთიკური ქცევის

კოდექსები ცოცხალი ხნის წინ მოსამართლეებისთვისაც დაინერგა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითის საფუძველზე.

42. უძველესი კოდექსი იტალიის “ეთიკის კოდექსია”, რომელიც 1994 წლის 7 მაისს იქნა მიღებული სასამართლო ორგანოების ასოციაციის – იტალიის მოსამართლეთა ასოციაციის მიერ. ამ შემთხვევაში, სიტყვა “კოდექსი” თავისი ჩვეული მნიშვნელობით არ არის გამოყენებული, რადგან დოკუმენტი სულ 14 მუხლისაგან შედგება, რომლებიც სამოსამართლო ქცევის ყველა ასპექტს (მათ შორის სასამართლოს თავმჯდომარეებს) და პროკურორებსაც⁵ შეეხება. კოდექსი წარმოადგენს თვითრეგულირების მექანიზმს, რომელიც თვით სასამართლო სისტემის მიერ არის შექმნილი და არ მოიცავს დისციპლინურ ან სისხლისსამართლებრივ ნორმებს. მუხლი 1 ადგენს ზოგად პრინციპს: “საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოსამართლე უნდა იქცეოდეს ღირსებისა და წესიერების ფარგლებში, და შეინარჩუნოს ყურადღება საზოგადოებრივი ინტერესებისადმი. თავისი მოვალეობების და ნებისმიერი პროფესიული ქმედების განხორციელებისას, მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს ისეთი ღირებულებებით, როგორცაა კეთილსინდისიერება, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა”.

⁵ აღნიშნული კოდექსი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ადამიანებთან ურთიერთობა, პროფესიული ვალი, სახელმწიფო სახსრების გამოყენება, პროფესიული ინფორმაციის გამოყენება, პრესასთან ურთიერთობა, წევრობა ასოციაციებში, მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის დაცვა, თანამშრომლებთან კორექტული ურთიერთობების დაცვის ვალდებულება, ქცევის წესები სამსახურში და სამსახურს გარეთ, და სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეების ვალდებულებები.

43. სხვა სახელმწიფოებს, როგორცაა ესტონეთი, ლიტვა, უკრაინა, მოლდოვა, სლოვენია, ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვაკეთი აქვთ “სამოსამართლო ეთიკის კოდექსები” ან “ქცევის პრინციპები”, რომლებიც მიღებულია მოსამართლეთა წარმომადგენლობითი კრებების მიერ და განსხვავდება დისციპლინური წესებისაგან.

44. ქცევის კოდექსებს რამდენიმე მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ: პირველი, ისინი მოსამართლეებს ეხმარებიან გადაწყვიტონ პროფესიული ეთიკის საკითხები და უზრუნველყოფენ მათ დამოუკიდებლობას გადაწყვეტილებების მიღების დროს, გარანტირებენ რა მათ დამოუკიდებლობას ხელისუფლების სხვა შტოებისაგან; მეორე, ისინი საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიან იმ ქცევის სტანდარტების შესახებ, რომელთა შესრულებასაც საზოგადოება მოსამართლეებისგან უნდა ელოდოს; მესამე, ისინი ამყარებენ საზოგადოების რწმენას იმაში, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად ხდება.

45. თუმცა, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა არ შეიძლება დაცულ იქნეს მხოლოდ ქცევის პრინციპებით, და რომ მრავალმა ნორმატიულმა და პროცესუალურმა

წესმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს. პროფესიული ქცევის წესები განსხვავდება ნორმატიული და დისციპლინური წესებისაგან. ისინი გამოხატავენ პროფესიონალი მოსამართლის შესაძლებლობას შეასრულოს თავისი როლი საზოგადოებრივი მოლოდინის შესაბამისად და ისე განახორციელონ მათზე დაკისრებული უფლებამოსილება, როგორც ეს სავალდებულოა. ეს არის თვითრეგულირებადი სტანდარტები, რომლებიც იქიდან გამომდინარეობს, რომ სამართლის გამოყენება მექანიკური ქმედება არ არის, არამედ ეს ის სფეროა, სადაც მოსამართლეს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, რაც თავის მხრივ, მათ საკუთარი თავისა და მოქალაქეების წინაშე პასუხისმგებლობას აკისრებს.

46. პროფესიული ქცევის კოდექსები ასევე გარკვეულ პრობლემებს ქმნიან. მაგალითად, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ისინი წარმოადგენენ წესების ამომწურავ ჩამონათვალს და რომ ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის – დასაშვებია. აღნიშნულმა კოდექსებმა შეიძლება ზედმეტად გამარტივებული სურათი წარმოაჩინონ და ბოლოს, შექმნან შთაბეჭდილება, რომ ქცევის სტანდარტები დადგენილია გარკვეული პერიოდით მაშინ, როდესაც რეალურად, ისინი მუდმივად იცვლება. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ უმჯობესია მომზადდეს და განხილულ იქნეს “დებულება პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ”, ვიდრე კოდექსი.

47. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ერთადერთი გზა პროფესიული ქცევის წესების გავრცელებისა, ასეთი დებულებების მომზადება წახალისებულ უნდა იქნეს ყველა ქვეყანაში, რადგან:

- პროფესიული წესების მომზადებისა და გავრცელებისას, მნიშვნელოვანი როლი უნდა მიენიჭოს პროფესიულ მომზადებას და კვალიფიკაციის შემგომ ამაღლებას⁶;
- სასამართლო ინსპექტორები იმ ქვეყნებში, სადაც ისინი არსებობენ, მოსამართლეთა საქმიანობაზე ზედამხედველობის საფუძველზე ვალდებულნი არიან შეიტანონ თავიანთი წვლილი ეთიკური წესების განვითარებაში. აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრებები, მათ შეუძლიათ წარმოადგინონ ყოველწლიურ ანგარიშებში;
- დამოუკიდებელ ორგანოს, რომელზეც საუბარია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპულ ქარტიაში, თუ იგი მონაწილეობს დისციპლინურ წარმოებაში, თავის გადაწყვეტილებებში შეუძლია განსაზღვროს მოსამართლეთა მოვალეობები. თუ ასეთი გადაწყვეტილებები სათანადოდ გამოქვეყნდება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება იმ ღირებულებების გაცნობიერება, რომლებსაც ისინი ეფუძნება;
- პროფესიული ასოციაციები უნდა ფუნქციონირებდნენ, როგორც მოსამართლეთა პასუხისმგებლობისა და დეონტოლოგიის განხილვის ფორუმი; ისინი უნდა უზრუნველყოფდნენ ქცევის წესების ფართოდ გავრცელებას მოსამართლეთა წრეებში.

⁶ თავის შემაჯამებელ ანგარიშში, რომლის პრეზენტაცია გაიმართა ლისაბონის ქსელის პირველ შეხვედრაზე, დენიელ ლიუდემ აღნიშნა, რომ

პროფესიული მომზადება დაკავშირებული უნდა იყოს მოსამართლეების პრაქტიკასთან და ხელს უნდა უწყობდეს ეთიკური პრინციპების განხილვას, რომლებსაც ის ეფუძნება (იხ. "მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადება მათი პროფესიული ვალდებულებებისა და ეთიკის საკითხებში". ქსელის წევრთა პირველი შეხვედრა, სადაც მოხდა ინფორმაციის გაცვლა მოსამართლეებისა და პროკურორების მომზადების საკითხებზე, ევროსაბჭოს გამომცემლობა).

48. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ხაზს უსვამს შემდეგს – იმისათვის, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის აუცილებელი დაცვა იქნეს უზრუნველყოფილი, ნებისმიერი დებულება მოსამართლეთა პროფესიული ქცევის შესახებ ორ ძირითად პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს:

I) პირველი, იგი უნდა მოიცავდეს პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებს. ასეთი განცხადება უნდა გამომდინარეობდეს მოსამართლეების საქმიანობის წინასწარ დადგენილი აკრძალული სახეობების სრული სიების შედგენის შეუძლებლობიდან; დამტკიცებული პრინციპები უნდა ემსახურებოდნენ მოსამართლეებს, როგორც თვითრეგულირების მექანიზმები, ე.ი. ზოგადი წესები, რომლებითაც მოსამართლეები ხელმძღვანელობენ თავიანთ საქმიანობაში. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იკვეთება და ურთიერთმოქმედებს დისციპლინურ წესებთან, ქცევის პრინციპები უნდა არსებობდნენ მათგან განცალკევებით იმისათვის, რომ ამ ქცევის პრინციპებიდან ერთ-ერთის დარღვევა არ ითვლებოდეს დისციპლინურ გადაცდომად ან სამოქალაქო, ან სისხლისსამართლებრივ სამართალდარღვევად;

II) მეორე, პროფესიული ქცევის პრინციპები შემუშავებულ უნდა იქნეს მოსამართლეების მიერ. ისინი უნდა წარმოადგენდეს სასამართლო ხელისუფლების მიერ შექმნილ თვითრეგულირების მექანიზმს, რომელიც საშუალებას იძლევა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის უზრუნველყოფისა საყოველთაოდ მიღებული ეთიკური სტანდარტების ფარგლებში. აუცილებელია ფართო კონსულტაციების გამართვა, შესაძლოა 29-ე პუნქტში აღნიშნული ორგანოს ან პირის ეგიდით, რომელიც აგრეთვე შესაძლებელია იყოს პასუხისმგებელი პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ დებულების ახსნა-განმარტებაზე.

3) დასკვნები ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებით

49. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ:

I) თავიანთ საქმიანობაში, მოსამართლეებმა უნდა იხელმძღვანელონ პროფესიული ქცევის პრინციპებით;

II) ასეთი პრინციპები მოსამართლეებს უნდა უსაზღვრავდეს საკითხების გადაწყვეტის წესებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი ამა თუ იმ სიტუაციებში და შესაბამისად, მისცენ შესაძლებლობა გადალახონ სიძნელები, რომლებიც მათ შეხვდებათ მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის შენარჩუნების თვალსაზრისით;

III) ზემოაღნიშნული პრინციპები შემუშავებულ უნდა იქნეს თვით მოსამართლეების მიერ და სრულად უნდა იქნეს განცალკევებული მოსამართლეთა დისციპლინური სისტემისაგან;

IV) სასურველია, რომ თითოეულ ქვეყანაში შეიქმნას ერთი ან რამდენიმე ორგანო, ან განისაზღვროს პირთა წრე სასამართლო სისტემის ფარგლებში მოსამართლეებისათვის რეკომენდაციების გაწევის მიზნით, რომლებსაც პროფესიული ეთიკის ან მოსამართლის სტატუსთან მათი არასამოსამართლო საქმიანობის შეუთავსებლობასთან დაკავშირებით პრობლემა წარმოეშვათ.

50. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრება თითოეული მოსამართლის ქცევასთან დაკავშირებით შემდეგში მდგომარეობს:

D) თითოეულმა მოსამართლემ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ დაიცვას სამოსამართლო დამოუკიდებლობა როგორც ინსტიტუციურ, ისე პიროვნულ დონეზე;

II) მოსამართლეები უნდა იყვნენ სამართლიანნი როგორც საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას, ისე პირად ცხოვრებაშიც;

III) ისინი ყოველთვის უნდა იღებდნენ მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას;

IV) ისინი თავინთ უფლებამოსილებას უნდა ახორციელებდნენ ყოველგვარი უპირატესობის და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე;

V) ისინი გადაწყვეტილებას უნდა იღებდნენ საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, მათი გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის საკანონმდებლო ბაზას და გამორიცხული უნდა იყოს ნებისმიერი გარემოების გავლენა გადაწყვეტილებაზე, რომელსაც შეხება არ აქვს საქმესთან;

VI) ისინი პატივს უნდა სცემდნენ პროცესის ყველა მონაწილეს და ასევე იმ პირებს, რომლებზედაც გავლენა აქვს ამ სასამართლო პროცესს;

VII) ისინი თავიანთ უფლებამოსილებას უნდა ახორციელებდნენ მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვით, თავი უნდა აარიდონ მიკერძოებას და დისკრიმინაციას, უნდა დაიცვან ბალანსი მხარეთა შორის და თითოეული მათგანი უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო პროცესით;

VIII) ისინი უნდა გამოირჩეოდნენ სიფრთხილით მასმედიასთან ურთიერთობისას, უნდა ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას, თავი უნდა შეიკავონ მასმედიასთან ურთიერთობის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებისაგან და ასევე, თავი უნდა შეიკავონ დაუსაბუთებელი კომენტარის გაკეთებისაგან იმ საქმეზე, რომელსაც ისინი იხილავენ; ;

IX) ისინი უნდა ინარჩუნებდნენ მაღალ პროფესიულ განათლებას;

X) ისინი უნდა ფლობდნენ პროფესიული განათლების მაღალ დონეს და უნდა მუშაობდნენ შეფერხებების გარეშე იმისათვის, რომ საქმეზე გადაწყვეტილება გამოტანილ იქნეს გონივრულ ვადაში;

XI) მათი სამუშაო დროის ძირითად ნაწილს ისინი უნდა უთმობდნენ სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებას;

XII) ისინი თავს უნდა იკავებდნენ პოლიტიკური საქმიანობისგან, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მათი დამოუკიდებლობა და ზიანი მიაყენოს მათ მიუკერძოებლობას.

მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო და დისციპლინური პასუხისმგებლობა

40) რა სახის სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო და დისციპლინური პასუხისმგებლობა უნდა მოქმედებდეს მოსამართლის მიმართ?

51. ის უფლებამოსილებანი და ნდობის ხარისხი, რომელსაც საზოგადოება ანიჭებს მოსამართლეებს გულისხმობს გარკვეული საშუალებების არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს მოსამართლეთა პასუხისმგებლობას და იძლევა მათი თანამდებობიდან გადაყენების საშუალებას მათ მიერ სერიოზული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ნებისმიერი მსგავსი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, რათა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და თავისუფლება არ მოექცეს არასათანდო ზეწოლის ქვეშ. აქედან გამომდინარე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ცალკე განიხილავს მოსამართლეზე სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას. პრაქტიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოსამართლეზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაა.

ა) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

52. მოსამართლეები, რომლებიც ახორციელებენ თანამდებობრივ ვალდებულებებს და ჩადიან ქმედებებს, რომლებიც ნებისმიერ გარემოებებში განიხილება დანაშაულებრივ ქმედებად (მაგალითად, როგორცაა ქრთამის აღება) არ აქვთ უფლება გამოიყენონ საკუთარი იმუნიტეტი დანაშაულის ჩვეულებრივი სისხლისსამართლებრივი განხილვისას. კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში წინასწარი განზრახვით ჩადენილი სამოსამართლო შეცდომა შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად. მაგალითად, შვედეთსა და ავსტრიაში მოსამართლეები (რომლებიც უთანაბრდებიან სახელმწიფო მოხელეებს) შეიძლება დაისაჯონ (მაგალითად, ჯარიმის გადახდით) თუ ისინი გამოიჩინენ თანამდებობრივ დაუდევრობას (მაგალითად, ადამიანის უფრო ხანგრძლივი ვადით მოთავსება ან დაკავება საპატიმროში).

53. მიუხედავად ამისა, მაშინ, როდესაც მიმდინარე პრაქტიკა მთლიანად არ გამოირიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მოსამართლეთა იმ ნაწილის მიმართ, რომლებიც გაუფრთხილებლობით ჩადიან დანაშაულს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს არ მიაჩნია მართებულად ზოგადად ასეთი პასუხისმგებლობის შემოღება ან მისი მხარდაჭერა. მოსამართლე არ უნდა იყოს იძულებული იმუშაოს ფულადი სასჯელის და მით უმეტეს თავისუფლების აღკვეთის მუქარის ქვეშ, ვინაიდან ასეთი მუქარის არსებობამ შეიძლება ქვეცნობიერად იქონიოს გავლენა მის გადაწყვეტილებაზე.

54. მოსამართლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა სასამართლოში იმ მხარის მიერ, რომელიც უკმაყოფილოა მოსამართლის მიერ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით ძალიან ხშირ პრაქტიკად იქცა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ იმ ქვეყნებში, სადაც პირს შეუძლია მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ან მოსამართლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოსამართლის მიერ მისი სამოსამართლო

ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით, როდესაც არ არსებობს მოსამართლის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აღძვრის საფუძველი, უნდა არსებობდეს მოსამართლის მიმართ აღძრული სისხლისსამართლებრივი გამოძიების ან სასამართლო განხილვის შეწყვეტის, ან შეჩერების მექანიზმი.

ბ. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა

55. მოსაზრებები, რომლებიც ასახულია 53-ე პუნქტში გამოიყენება ასევე მოსამართლეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის მიმართ იმ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება დადგეს მათი არასწორი გადაწყვეტილების ან სხვა ხარვეზების გამო (მაგალითად, როგორცაა, ვადების დარღვევა საქმის განხილვის დროს). საერთო პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მოსამართლეები თავად უნდა იყვნენ თავისუფალნი მათ წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ ისინი კეთილსინდისიერად ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს.

სასამართლო შეცდომები მართლმსაჯულების სფეროში ან სასამართლო პროცედურებში, ასევე კანონის ინტერპრეტაციის და გამოყენების, ან მტკიცებულებების შეფასების დროს უნდა გამოსწორდეს გასაჩივრების მეთოდით; სხვა სასამართლო დარღვევების შემთხვევაში, რომელთა გამოსწორება შეუძლებელია გასაჩივრების გზით (მაგალითად, როგორცაა სასამართლო განხილვის გაჭიანურებული ვადები) უკმაყოფილო მხარეს უნდა შეეძლოს სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანა. ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია აუნაზღაუროს ზარალი მომჩივანს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, ეს სხვა საკითხს წარმოადგენს, რომელიც პირდაპირ არ განიხილება ამ მოცემულ დასკვნაში.

56. არსებობს ევროპული ქვეყნები, სადაც მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო პასუხისმგებლობა არასწორი გადაწყვეტილების ან სხვა უხეში დარღვევების გამო⁷, განსაკუთრებით კი სახელმწიფო დონეზე, მას შემდეგ, რაც უკმაყოფილო მხარემ დაამტკიცა საკუთარი უფლება კომპენსაციის მიღებაზე სახელმწიფოს მხრიდან. ასე, მაგალითად, ჩეხეთში სახელმწიფო შეიძლება პასუხისმგებელი იყოს ზარალზე, რომელიც მხარეს მიადგა არაკანონიერი გადაწყვეტილების გამო ან არაკანონიერი სასამართლო ქმედების გამო, მაგრამ ამის შემდეგ, მას აქვს უფლება წარადგინოს რეგრესიული სარჩელი მოსამართლის წინააღმდეგ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსამართლის მიერ კანონის დარღვევა დამტკიცდება სისხლისსამართლებრივი ან დისციპლინური სამართალსწარმოების შედეგად.. მაგალითად, იტალიაში სახელმწიფოს შეუძლია გარკვეული ზარალის ანაზღაურება დააკისროს მოსამართლეს, რომელმაც საკუთარი წინასწარ განზრახული მოტყუებით ან “უხეში დაუდევრობით” გამოიწვია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოსამართლის პასუხისმგებლობა შეიძლება შეზღუდული იყოს.

⁷ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება გაჭიანურებული ვადების გამო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამაზე პასუხისმგებელი რომელიმე კონკრეტული მოსამართლეა. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ემხრობა იმას, რაც ზემოთ 27-ე პუნქტშია განხილული.

57. ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ადგენს მსგავსი სახის რეგრესიულ ანაზღაურებას (პუნქტი 5.2), მაგრამ ამავე დროს გარანტიის სახით ჩადებულია წინასწარი თანხმობა ამ საკითხზე დამოუკიდებელი ორგანოსგან, სადაც წევრთა უმეტესობა მოსამართლეები არიან, ისე, როგორც ეს რეკომენდებულია ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს №1 (2001) დასენის 43-ე პუნქტში. ქარტიის პუნქტი 5.2 კომენტარებში საუბარია მოსამართლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე ა) სახელმწიფოს აუნაზღაუროს ზარალი, ბ) “უხეში და არასაპატიო დაუდევრობის ჩადენა”, გ) კანონიერი პროცედურის დ) დამოუკიდებელი ორგანოს წინასწარი თანხმობის მოთხოვნით. ისეთი კონცეფციის გამოყენება, როგორცაა “უხეში და არასაპატიო დაუდევრობა” ხშირად იწვევს პრობლემებს. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრებით, მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს რაიმე პირადი პასუხისმგებლობა სასამართლო ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით, გარდა განზრახ ჩადენილი დარღვევისა.

გ. დისციპლინური პასუხისმგებლობა

58. სამართლის ნებისმიერ სისტემას სჭირდება გარკვეული დისციპლინური სისტემა, მაგრამ კითხვარის შედეგების მიხედვით ნათელი გახდა, რომ ზოგიერთი წევრი ქვეყნისთვის ეს უფრო აქტუალურია. ძირითადი განსხვავება ამ საკითხთან მიმართებაში არსებობს საერთო და კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებს შორის, რაც მდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში, მოსამართლეთა რაოდენობა ნაკლებია და მათი დანიშვნა ხდება გამოცდილი პრაქტიკოსებიდან მაშინ, როდესაც მეორე კატეგორიის ქვეყნებში მოსამართლეთა რაოდენობა უფრო მეტია, ისინი უფრო ახალგაზრდები არიან და პროფესიონალ მოსამართლეებს წარმოადგენენ.

59. ამ შემთხვევაში ჩნდება შემდეგი კითხვები:

- I) რა ქმედებამ უნდა გამოიწვიოს დისციპლინური ზომების გამოყენება?
- II) ვის მიერ და როგორ უნდა განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოება?
- III) ვინ და როგორ უნდა არეგულირებდეს ამ პროცესს?
- IV) რა სანქციების გამოყენება უნდა მოხდეს დანაშაულისათვის, რომელიც ექვემდებარება დისციპლინურ სამართალწარმოებას?

60. პირველ კითხვასთან (I) მიმართებაში, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ არ იქნებოდა სწორი პროფესიული სტანდარტების დარღვევის გათანაბრება გადაცდომასთან, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური სანქციები. პროფესიული სტანდარტები, რომელიც ჩვენ განვიხილეთ ამ დოკუმენტის პირველ ნაწილში, წარმოადგენს საუკეთესო გამოცდილებას, რომლისკენაც ყველა მოსამართლე უნდა მიისწრაფოდეს. ამ სტანდარტების იმ გადაცდომებთან გაიგივება, რომელმაც შეიძლება დისციპლინური პასუხისმგებლობა წარმოშოს გამოიწვევს სტანდარტების სამომავლო განვითარების შეჩერებას და დააკარგვინებს მათ აზრს. იმისათვის, რომ გადაცდომას თან მოჰყვეს დისციპლინური სასჯელი, გადაცდომა უნდა იყოს არა მხოლოდ დისციპლინური სტანდარტების დარღვევა, რომლებიც განმარტებულია სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემული დასკვნის პირველ ნაწილში, არამედ სერიოზული და არასაპატიო ქმედება.⁸

⁸ ამ მიზნების გამო ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ გაეროს ადამიანის უფლებათა კომისართან შეხვედრისას 2002 წლის 18 ივნისს და მის შემდეგ გამოხატა საკუთარი დადებითი დამოკიდებულება ბანგალორის კოდექსის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, სადაც გამოხატულია მოსაზრება მასში ჩამოყალიბებულ ქცევის პრინციპებს, სარჩელის საგანს და დისციპლინურ სახდელს შორის პირდაპირი კავშირის შესახებ.

61. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიული სტანდარტების დარღვევა არის რაღაც უმნიშვნელო, თუ არსებობს იმის მტკიცების საფუძველი, რომ ადგილი ჰქონდა სერიოზულ გადაცდომას, რის გამოც შეიძლება მოთხოვნილი იყოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენება. კითხვარის ზოგიერთი პასუხი დეტალურად ამტკიცებს ამას. მაგალითად, ლიტვის დისციპლინურ წარმოებაში პროფესიული სტანდარტები განისაზღვრება როგორც “გარკვეული ძალის” მქონე, ესტონეთში როგორც “მოსამართლის დახმარება დისციპლინური დარღვევის შესახებ საქმის განხილვის პროცესში, ვინაიდან იგი აზუსტებს მოსამართლის შესახებ კანონს”. მოლდოვაშიც არსებობს დისციპლინური წარმოების შესახებ კანონი. (მეორე მხრივ, უკრაინისა და სლოვაკეთის პასუხებში ასეთი კავშირი უარყოფილია).

62. ზოგიერთ ქვეყანაში პროფესიული სტანდარტების რეგულირების და გამოყენების 2 სისტემა არსებობს: სლოვენიაში სტანდარტების დარღვევას შეიძლება მოსდევდეს “ღირსების სასამართლოს” მიერ განსაზღვრული სანქცია. “ღირსების სასამართლო” მოქმედებს მოსამართლეთა ასოციაციის ფარგლებში და არა დისციპლინური ორგანოს ფარგლებში. ჩეხეთში მოსამართლეთა პროფესიული ქცევის ნორმების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში, მოსამართლე შეიძლება გაირიცხოს “მოსამართლეთა კავშირიდან”, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნულ პრინციპებს.

63. უნდა ითქვას, რომ თითოეულმა სახელმწიფომ მოსამართლეთა ასეთი ქცევა თავად უნდა განმარტოს კანონით, რომელსაც თან დაერთვის შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობა. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო აღნიშნავს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში იყო მცდელობა, რომ დეტალურად განმარტებულიყო ნებისმიერი ქცევა, რომელიც შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის და სანქციის საფუძველი. თურქეთში მოსამართლეთა და პროკურორთა შესახებ კანონში მოცემულია კანონდარღვევათა გრადაცია (მათ შორის როგორიცაა, არასაპატიო მიზეზის გამო სამსახურში გამოუცხადებლობა ხანგრძლივი ვადით) და ასევე, სანქციების გრადაცია, რომელიც იწყება გაფრთხილებით, შენიშვნით, თანამდებობიდან დაქვეითებით, თანამდებობის შეცვლით და თანამდებობიდან გადაყენებითაც კი. ამის მსგავსად 2002 წელს სლოვენიაში მიღებული კანონის მიზანია საერთო პრინციპის შემოღება, როგორცაა *nulla poena sine lege*, რომელშიც ჩამოთვლილია დისციპლინური დარღვევის 27 კატეგორია. ამგვარი მცდელობების დროს მნიშვნელოვანია ისეთი ზოგადი ყოვლისმომცველი და პრობლემის არსის გამომხატველი ფორმულირებების შემოღება, რომლებიც უკავშირდება დისციპლინური დარღვევების გადაწყვეტის ფორმებსა და პასუხისმგებლობის დონეს. თავად ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს არ მიაჩნია საჭიროდ და შესაძლებლად *nulla poena sine lege* პრინციპზე ან სხვა ნებისმიერ პრინციპზე დაყრდნობით დეტალურად ჩამოთვალოს

ევროპულ დონეზე არსებული დარღვევების ყველა ფორმა, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს დისციპლინური პასუხისმგებლობა ან განსაზღვროს ყველა სანქცია. დისციპლინური წარმოების არსი უკავშირდება მოსამართლეთა ისეთ ქცევას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება იმას, რაც პროფესიონალი მოსამართლისაგან არის მოსალოდნელი და რაც დანაშაულის ელემენტს შეიცავს.

64. პირველი შეხედვით შეიძლება იფიქროთ, რომ რეკომენდაცია №R (94) 12-ის პრინციპი VI.2 გულისხმობს საჭიროებას იმისა, რომ წინასწარ იყოს “განსაზღვრული” “ზუსტი საკანონმდებლო ფორმულირებით” დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოების საფუძვლები. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო აბსოლუტურად ეთანხმება იმას, რომ დისციპლინური წარმოების აღძვრისათვის აუცილებელია კონკრეტული საფუძვლების არსებობა მაშინ, როდესაც ხდება საქმის შეტანა განსახილველად ან მისი განხილვა უკვე დაწყებულია. მაგრამ, როგორც უკვე იმავე პრინციპშია ნათქვამი, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს არ მიაჩნია აუცილებლად ან შესაძლებლად, რომ ევროპულ დონეზე წინასწარ განსაზღვროს ყველა ეს პოტენციური საფუძვლები სხვა ტერმინებით, ვიდრე ეს ზოგადი ფორმულირებებით არის ჩამოყალიბებული ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში. ამის შედეგად, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მის დასკვნა №1 (2001)-ის პუნქტ 60-ის “გ” ქვეპუნქტში ჩამოყალიბებული მიზანი არ შეიძლება განხორციელდეს ევროპულ დონეზე.

65. თუმცა, თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით დისციპლინური დევნის საფუძვლების კონკრეტული განმარტება მიზაშეწონილი და სასურველია. ამ დროისათვის დისციპლინური ქმედების საფუძვლები, როგორც წესი, ჩამოყალიბებულია ძალიან ზოგადად.

66. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო განიხილავს მომდევნო კითხვას (ii): ვის მიერ და როგორ უნდა განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოება? ზოგიერთ ქვეყანაში დისციპლინური დევნის აღძვრა ხდება იუსტიციის სამინისტროს მიერ, სხვა ქვეყნებში მოსამართლეების მიერ ან მოსამართლეების მონაწილეობით, ან სასამართლო კოლეგიის ან პროკურატურის მიერ, მაგალითად, საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარის მიერ ან იტალიის გენერალური პროკურორის მიერ. ინგლისში ინიციატორი არის ლორდ-კანცლერი მხოლოდ ლორდ-მთავარ მოსამართლესთან შეთანხმებით.

67. სერიოზული საკითხი დგება, თუ რა უნდა გააკეთონ პირებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი გახდნენ მოსამართლის პროფესიული შეცდომის მსხვერპლნი. ასეთ პირებს უნდა ჰქონდეთ უფლება შეიტანონ სარჩელი პირის ან ორგანოს სახელზე, რომელიც აღძრავს დისციპლინურ წარმოებას, მაგრამ მათ არ უნდა ჰქონდეთ უფლება დამოუკიდებლად მოახდინონ ინიცირება ან დაჟინებით მოითხოვონ დისციპლინური სანქციის გამოყენება. აუცილებელია არსებობდეს გაფილტვრის მექანიზმი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლეები გახდებიან უკმაყოფილო მხარის მიერ აღძრული დისციპლინური დევნის მსხვერპლნი.

68. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ დისციპლინური დევნის აღძვრისკენ მიმართული პროცედურები საჭიროებს მეტ ფორმალიზებას. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს შემოთავაზებაა, რომ ყველა ქვეყანაში შეიქმნას სპეციალური ორგანო ან დაინიშნოს პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საჩივრების მიღებაზე, მოსამართლის მიერ ამ საჩივარზე პასუხის გაცემაზე და არსებული გარემოებების მიხედვით გადაწყვეტილების მიღებაზე იმის თაობაზე არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი დისციპლინური დევნის აღძვრისათვის მოსამართლის მიმართ და თუკი არსებობს, მაშინ საქმე უნდა გადაეცეს დისციპლინური დევნის ორგანოს.

69. შემდეგი კითხვა (III): ვის მიერ და როგორ უნდა მოხდეს დისციპლინური წარმოების განხორციელება? გაეროს ძირითადი პრინციპების ერთი ნაწილი ეძღვნება დისციპლინურ დევნას და თანამდებობიდან გათავისუფლებას. მუხლი 17 განმარტავს, რომ “მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება”. მე-19-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ყველა დისციპლინური სასჯელი, უფლებამოსილებათა შეჩერება ან თანამდებობიდან გათავისუფლება განსაზღვრული უნდა იყოს ჩამოყალიბებული სტანდარტების შესაბამისად” და ბოლოს, მუხლ 20-ში ჩამოყალიბებულია, რომ “დისციპლინურ სასჯელებთან, უფლებამოსილებათა შეჩერებასა და თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ გადასინჯვას”. ევროპულ დონეზე რეკომენდაცია №R (94) 12, პრინციპი VI განმარტავს, რომ დისციპლინური დევნის დონისძიებები უნდა განხორციელდეს “კომპეტენტური ორგანოს მიერ . . ., თუ ეს ფუნქცია არ აკისრია სასამართლოს, მაგრამ ამ ორგანოს გადაწყვეტილების კონტროლი უნდა განხორციელდეს ზემდგომი სასამართლო ინსტანციის მიერ”, მაგრამ მოსამართლეებს უნდა მიეცეთ სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლება, რომელიც კონვენციის მუხლი 6.1-ით არის განსაზღვრული. ამასთანავე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ამ საკითხთან დაკავშირებით ხაზს უსვამს, რომ დისციპლინური დევნის დონისძიებებში იგულისხმება ყველა დონისძიება, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მოსამართლის კარიერაზე, მაგალითად, სხვა სასამართლოში გადაყვანა, დაწინაურების ან შრომის ანაზღაურების უფლების დაკარგვა.

70. შეკითხვებზე მოცემული პასუხები გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში დისციპლინური დევნა ხორციელდება სასამართლოების მიერ, რომლებიც ასეთი ტიპის საქმეებზე არიან სპეციალიზებულნი: უმაღლესი სასამართლოს დისციპლინური კომიტეტი (ესტონეთი, სლოვენია). უკრაინაში შექმნილია კომიტეტი, რომელშიც იმავე ინსტანციის მოსამართლეები შედიან, რომელ ინსტანციაშიც მუშაობს მოსამართლე, ვის წინააღმდეგაც არის დისციპლინური დევნა აღძრული. სლოვაკეთში ორი დონის კომიტეტი არსებობს: ერთი, რომელიც შედგება სამი მოსამართლისგან, მეორე, რომელშიც უზენაესი სასამართლოს ხუთი მოსამართლე შედის. ლიტვაში არსებობს მოსამართლეთა კომიტეტი, სადაც საერთო სასამართლოების და ადმინისტრაციული სასამართლოების მოსამართლეები შედიან. ზოგიერთ ქვეყანაში გადაწყვეტილება მიიღება სასამართლო საბჭოს მიერ, რომელიც მოქმედებს როგორც დისციპლინური სასამართლო (მოლდოვა, საფრანგეთი, პორტუგალია)⁹.

9 ინგლისში დისციპლინური დევნის აღძვრის ვალდებულება და გადაწყვეტილების მიღება არის ლორდ-კანცლერის პასუხისმგებლობა. შეთანხმების შედეგად დისციპლინური წარმოება შეიძლება აღიძვრას მხოლოდ ლორდ-მთავარი მოსამართლის თანხმობით და ამის შემდეგ, ლორდ-მთავარი მოსამართლის მიერ დანიშნული იმავე ინსტანციის სხვა მოსამართლე (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მოსამართლე ვის მიმართაც არის აღძრული დევნა უარს არ იტყვის ამაზე) იძიებს ფაქტებს და ადგენს ანგარიშს რეკომენდაციებით. თუ ლორდ-მთავარი მოსამართლე ეთანხმება ლორდ-კანცლერის მოსაზრებას, მაშინ ლორდ-კანცლერს შეუძლია საქმე გადასცეს პარლამენტს (თუ საქმე ეხება ზედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეებს) ან გაათავისუფლოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე თანამდებობიდან, ან მიიღოს სხვა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის შესახებ.

71. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ უკვე გამოთქვა მოსაზრება, რომ მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა უნდა რეგულირდებოდეს დამოუკიდებელი ორგანოს (ან სასამართლოს) ისეთი პროცედურებით, რომლებიც სრული დამოუკიდებლობის გარანტიას იძლევიან – იხილეთ პუნქტი 60 (ბ) №1 დასკვნის (2001) მოსამართლეების შეუცვლელობის და სასამართლოების დამოუკიდებლობის სტანდარტების შესახებ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს ასევე მიაჩნია, რომ ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ასეთი ტრიბუნალის დანიშვნაზე უნდა იყოს დამოუკიდებელი, მის შემადგენლობაში უმეტესობა მოსამართლეები უნდა შედიოდნენ, რომლებიც დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე სხვა მოსამართლეების მიერ იქნებიან არჩეულნი, როგორც ეს პირველი დასკვნის 46-ე პუნქტშია ნათქვამი. ეს არ გამოირიცხავს დისციპლინურ ტრიბუნალებში იმ პირთა მონაწილეობას, რომლებიც მოსამართლეები არ არიან (კორპორაციულობის რისკის თავიდან აცილების მიზნით); ამავე დროს მუდამ უნდა არსებობდეს გარანტია იმისა, რომ ეს პირები არ წარმოადგენენ საკანონმდებლო, სამთავრობო ან აღმასრულებელ ორგანოებს.

72. ზოგიერთ ქვეყანაში სუბიექტი, რომელიც აღძრავს დისციპლინურ წარმოებას არის უმაღლესი სასამართლო ორგანო (უზენაესი სასამართლო). ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიაჩნია, რომ დისციპლინური წარმოება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დისციპლინური ორგანოს მიერ ინიცირებული გადაწყვეტილების (მიუხედავად იმისა იქნება ეს სპეციალური ორგანო, ტრიბუნალი თუ სასამართლო) გასაჩივრება შესაძლებელი იყოს სასამართლოში.

73. ბოლო კითხვა (IV): რა სანქციების გამოყენება უნდა მოხდეს დანაშაულისათვის, რომელიც ექვემდებარება დისციპლინურ სამართალწარმოებას? კითხვარში მოცემული პასუხები ასახავს სამართლებრივ სისტემებს შორის არსებულ ფართო სხვაობებს. პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში, სადაც სასამართლო ორგანოები არ არის დიდი და იქ მუშაობენ უფროსი ასაკის გამოცდილი მოსამართლეები, ერთადერთ ფორმალურ სანქციად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოსამართლის თანამდებობიდან

გადაყენება, მაგრამ გაფრთხილება და სხვა არაფორმალური ქმედებები ასევე შეიძლება იყოს ეფექტიანი. სხვა ქვეყნებში, სადაც სასამართლო სისტემა შედარებით ნაკლებად გამოცდილი მოსამართლეებით არის დაკომპლექტებული, არსებობს ოფიციალური სანქციების მთელი სისტემა, მათ შორის ფულადი ჯარიმებიც.

74. ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ (მუხლი 5.1) ადგენს, რომ “შესაბამისი სანქციების შკალა გაწერილი უნდა იყოს მოსამართლეთა სტატუსში და უნდა ექვემდებარებოდეს პროპორციულობის პრინციპს”. სანქციების ზოგიერთი ფორმა განმარტებულია რეკომენდაცია №R (94) 12-ში (პრინციპი VI.1). ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო მხარს უჭერს ყველა ქვეყნის აუცილებლობას თავად განსაზღვრონ მათი სისტემისათვის შესაბამისი დისციპლინური დევნის სანქციები და ასევე დაადგინონ მათი შესაბამისობა როგორც პრინციპთან, ასევე მის გამოყენებასთან. მაგრამ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს არ მიაჩნია, რომ სანქციების ამომწურავი სია შეიძლება ან მიღებულ უნდა იქნეს ევროპულ დონეზე.

50) დასკვნები პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით

75. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მიაჩნია, რომ:

I) მოსამართლეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად კანონდარღვევისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს არასამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს;

II) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ უნდა იყოს გამოყენებული, თუ მოსამართლეებმა ჩაიდინეს გაუაზრებელი დარღვევა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას.

76. რაც შეეხება სამოქალაქო პასუხისმგებლობას, ითვალისწინებს რა მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო ადგენს, რომ:

I) სასამართლო შეცდომების გამოსწორების საშუალება (ეხება ეს მართლმსაჯულებას, საქმის წარმოებას თუ პროცედურას) უნდა ჩაიდოს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაბამის სისტემაში (სასამართლოს ნებართვით ან მის გარეშე);

II) სხვა დარღვევების, რომლებიც წარმოიშვა მართლმსაჯულების განხორციელებისას (მაგალითად, განხილვის ხანგრძლივი ვადები) გამოსწორების საშუალება არის სარჩელით სახელმწიფოსათვის მიმართვა;

III) მოსამართლეებს არ უნდა დაეკისროთ რაიმე სახის პირადი სამოქალაქო პასუხისმგებლობა სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას, მათ შორის სახელმწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების გზით, გარდა განზრახ ჩადენილი დანაშაულისა;

77. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დისციპლინური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით მიაჩნია, რომ:

- I) თითოეულ ქვეყანაში კანონმა ან ქარტიამ, რომელიც მოსამართლეებს ეხება, უნდა ზედმიწევნით კონკრეტულად ჩამოაყალიბოს ის დარღვევები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური წარმოება და ასევე, განმარტოს ის პროცედურები, რომელიც ამ შემთხვევებში გამოიყენება;
- II) დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებით, ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ სპეციალური ორგანოს შექმნა ან იმ პირის დანიშვნა, ვინც იქნება პასუხისმგებელი საჩივრების განხილვაზე, ფაქტიური გარემოებების შესახებ მოსამართლის განცხადებების/ინფორმაციის შეგროვებაზე და იმის დადგენაზე არსებობს თუ არა საფუძველი დისციპლინური ღვენი ადვრისთვის;
- III) ნებისმიერი ინიცირებული დისციპლინური წარმოება უნდა იყოს განსაზღვრული დამოუკიდებელი ორგანოს ან ტრიბუნალის მიერ, რომელიც აწარმოებს საქმეს და უზრუნველყოფს დაცვის სრულ უფლებებს;
- IV) თუ ასეთი ორგანო ან ტრიბუნალი თავად არ წარმოადგენს სასამართლოს, მაშინ მისი წევრები უნდა დაინიშნონ დამოუკიდებელი ორგანოს მიერ (წევრთა უმეტესობა უნდა იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც აირჩევიან სხვა მოსამართლეების მიერ დემოკრატიული გზით) ისე, როგორც ეს განმარტებულია ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს, დასკვნა №1 (2001)-ის 46-ე პუნქტში;
- V) ყველა ქვეყანაში უნდა არსებობდეს დისციპლინური წარმოების მსგავსი ორგანო, რომელიც იძლევა დისციპლინური ორგანოს (ორგანოს, ტრიბუნალის ან სასამართლოს) გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებას სასამართლოში;
- VI) სანქციები, რომლებიც ამ ორგანოს შეუძლია დააკისროს გადაცდომის დადგენის შემთხვევაში უნდა იყოს განმარტებული მაქსიმალურად კონკრეტული ფორმულირებით მოსამართლეთა შესახებ სტატუსსა ან ქარტიაში; მათი გამოყენება უნდა ხდებოდეს ჩადენილი დანაშაულის პროპორციულად.